

პრეს-რელიზი

კომპანია Gebrüder Weiss ავლენს მდგრადობას

საერთაშორისო ლოგისტიკურმა კომპანიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია გასული ფინანსური წლის განმავლობაში 1,77 მილიარდი ევროს ოდენობით წმინდა გაყიდვების შესახებ / ძირითადი მიღწევებიდან აღსანიშნავია პროცესების დიგიტალიზაცია, მდგრადი განვითარება და გლობალური ქსელის ზრდა

ლაუტერახი, 16 მარტი, 2021. საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოგისტიკურმა კომპანიამ Gebrüder Weiss-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია 2020 ფინანსური წლის განმავლობაში 1,77 მილიარდი ევროს ოდენობით წმინდა გაყიდვების შესახებ. აღნიშნული მონაცემები ასახავს წლიურ ზრდას 3,7 პროცენტის ოდენობით (2019 წ.: 1,71 მილიარდი ევრო). ამგვარად, კომპანია კვლავ აგრძელებს წინა წლებში დაფიქსირებული ზრდის უზრუნველყოფას. „ჩვენი განვითარების დადებითი მაჩვენებლის საკვანძო მომენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ Covid-19-თან დაკავშირებული კრიზისის დროს ჩვენ დავრჩით მოქნილები და შევინარჩუნეთ სრულფასოვანი მუშაობის უნარი მსოფლიოს ყველა ლოკაციაზე. ჩვენ შევინარჩუნეთ მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებული სატრანსპორტო გადაწყვეტებით უზრუნველყოფის უნარი, არაერთი „ლოქდაუნის“ და გლობალურად სატვირთო სივრცეების დეფიციტის მიუხედავად. ჩვენმა თანამშრომლებმა შესანიშნავად იმუშავეს არსებულ რთულ პირობებში“, - ამბობს ვოლფრამ სენგერ-ვეისი, Gebrüder Weiss-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.

საუკეთესო ორივე სამყაროდან: ციფრული სტრატეგია თავის ღირებულებას ადასტურებს კომპანიამ მიმდინარე დიגיტალიზაციის მიმართულებით ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა, როდესაც 2020 წელს მომხმარებლებისთვის ახალი პორტალი [myGW](#) დაწერა. ონლაინ-პლატფორმა მომხმარებელს სთავაზობს სწრაფ, პირდაპირ და მარტივ წვდომას Gebrüder Weiss-ის ყველა მომსახურებაზე და ასევე უზრუნველყოფს რეალური დროის რეჟიმში ინფორმაციას შეკვეთის სტატუსის შესახებ. „ჩვენმა ციფრულმა სტრატეგიამ „საუკეთესო ორივე სამყაროდან“, რომელშიც მატერიალური და ციფრული კომპეტენციის ერთობლიობას ვგულისხმობთ, სწორედ ამ კრიზისის დროს გაამართლა ყველაზე მეტად. ჩვენ შევძელით ჩვენი, როგორც საიმედო და ინოვაციური ლოგისტიკური პარტნიორის რეპუტაციის გამყარება. მომხმარებლების დადებითმა გამოხმაურებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი სტრატეგიული მიმართულების სისწორე“, - ამბობს ვოლფრამ სენგერ-ვეისი. მომხმარებელთა პორტალი ამჟამად დაწერგილია ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, უნგრეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. მიმდინარე წელს დაგეგმილია სხვა ქვეყნებში დაწერგვა.

გაფართოვდა მსოფლიო ქსელი

2020 წელს კომპანია Gebrüder Weiss-მა ასევე მიაღწია ახალ პროგრესს გლობალური მასშტაბით სტრატეგიულ გაფართოებაში: საჰაერო და საზღვაო გადაზიდვების მიმართულებით, კომპანია Gebrüder Weiss-მა დაამატა ლოკაციები გერმანიაში და გავიდა პოლონეთის, სამხრეთ კორეის, მალაიზიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ბაზრებზე. „მოგზაურობების შეზღუდვების გათვალისწინებით, აღნიშნული გაფართოებები დამუშავდა და განხორციელდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში. ამან სხვადასხვა გუნდის წინაშე რთული ამოცანები დააყენა, რომლებსაც ისინი წარმატებით გაუმკლავდნენ კომუნიკაციის ციფრული საშუალებების დახმარებით“ - ამბობს ბატონი სენგერ-ვეისი. ამჟამად საერთაშორისო ქსელში დასაქმებულია 7 400 თანამშრომელი (სრული განაკვეთით მომუშავე თანამშრომლები) 35 ქვეყნის 170 ლოკაციაზე. მთლიანობაში, ლოგისტიკურმა კომპანიამ 70 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია მოახდინა თავისი ტერმინალების ქსელის გაფართოებაში, IT ინფრასტრუქტურაში და აგრეთვე სხვა აქტივების შესყიდვაში. აქტივებში საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტმა კვლავ გადააჭარბა 60 პროცენტს, რაც ადასტურებს კომპანიის სიძლიერესა და განვითარების შესაძლებლობას, არახელსაყრელი პირობების მიუხედავად.

ფოკუსირება ეკოლოგიურ საკითხებზე: CO₂ ნეიტრალურობის მიღწევა 2030 წლისთვის
მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები ასევე წარმოადგენს Gebrüder Weiss-ის ეკოლოგიური რაციონალობის სტრატეგიის საავტორო ნიშანს: ყოველწლიურად ათი პროცენტით CO₂-ის გამოყოფის შემცირების გზით, კომპანიის მიზანია 2030 წლისთვის გახდეს CO₂ ნეიტრალური კომპანია. გატარებული ღონისძიებები მოიცავს ფოტოელექტრული (მზის პანელების) სისტემების ეტაპობრივ დამონტაჟებას საკუთარ ლოგისტიკურ ტერმინალებზე, ასევე სატვირთო მანქანებში ისეთი მოწინავე ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოებას, როგორცაა ელექტროენერჯია, გაზი და წყალბადი. გასული წლიდან, კომპანია Gebrüder Weiss ასევე სთავაზობს მომხმარებლებს ნახშირბადის გამოყოფის დაბალანსების შესაძლებლობას გარემოს დაცვითი სერტიფიცირებული პროექტების მხარდაჭერის გზით.

კომპანიის ცალკეული დანაყოფების განსხვავებული განვითარება გასული წლის ეკონომიკური ცვალებადობის შედეგს ასახავს. სხვადასხვა შეზღუდვებისა და ზოგიერთი კლიენტის ქარხნების დახურვის გამო, განსაკუთრებით 2020 წლის მეორე კვარტალში, სახმელეთო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებების გაყიდვების მოცულობა 4,3 პროცენტით შემცირდა და 1,10 მილიარდი ევრო შეადგინა (2019 წ.: 1,15 მილიარდი ევრო). საცალო ონლაინ-გაყიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნამ პროდუქციის სახლში მიწოდების სერვისის 29 პროცენტით ზრდა გამოიწვია (1,37 მილიონი მიწოდება 2020 წელს). ამ სფეროში Gebrüder Weiss გახდა ბაზრის ლიდერი ავსტრიასა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. საჰაერო და საზღვაო გადაზიდვების მოცულობა გაიზარდა 23,7 პროცენტით (2019 წ.: 380 მილიონი ევრო) და შედგინა 470 მილიონი ევრო. ბიზნესის მაღალეფექტურ მაჩვენებლებთან ერთად, განსაკუთრებით საჰაერო გადაზიდვების სექტორში, Ipsen Logistics-ის შექმნამ დადებითი გავლენა იქონია. სერიოზული პრობლემების ფონზე, DPD ავსტრიამ, რომელიც ნაწილობრივ Gebrüder Weiss-ის ამანათების სერვისის მფლობელობაშია, 57 მილიონზე მეტი ამანათი მიიტანა მომხმარებლებთან. კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, კომპანიამ წარმატებით მოახერხა ამ სერვისის მოცულობის ათი პროცენტზე მეტი ზრდის წარმატებით გამკლავება.



წარწერა: კომპანია Gebrüder Weiss-ის მმართველი საბჭო (მარცხნიდან მარჯვნივ): იურგენ ბაუერი, პიტერ კლოიბერი, ვოლფრამ სენგერ-ვაისი (თავმჯდომარე) და ლოთარ თომა (წყარო: Gebrüder Weiss / გნაუდშუნი / თებერვალი, 2020).



წარწერა: ვოლფრამ სენგერ-ვაისი, კომპანია Gebrüder Weiss-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. (წყარო: Gebrüder Weiss / გნაუდშუნი).



წარწერა: გასული ფინანსური წლის განმავლობაში ლოგისტიკურმა კომპანიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია 1,77 მილიარდი ევროს ოდენობით წმინდა გაყიდვების შესახებ. (წყარო: Gebrüder Weiss).

ინფორმაცია კომპანია Gebrüder Weiss-ის შესახებ

7,400-ზე მეტი თანამშრომლით, საწარმოს კუთვნილებაში არსებული 170 ობიექტითა და 1.77 მილიარდი ევროს ოდენობის წლიური ბრუნვით (2020 წ.) „გებრიუდერ ვაისი“ ერთ-ერთი ლიდერია ევროპის წამყვან სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებს შორის. გარდა კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებისა, როგორებიც არის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტვირთების გადაზიდვა და ლოგისტიკა, კომპანია ლაუტერახის (ავსტრია) სათაო ოფისის Gebrüder Weiss Holding AG-ის ქოლგის ქვეშ არსებული სხვა, მარალსპეციალიზირებულ ინდუსტრიულ გადაწყვეტილებებს მოიცავს. Gebrüder Weiss Holding AG სპეციალიზირებული სერვისების მაგალითებია x|vise (ლოგისტიკური კონსალტინგი), tectraxx (დარგის სპეციალისტი მაღალი ტექნოლოგიების სექტორისთვის), dicall (საკომუნიკაციო გადაწყვეტილებების, ბაზრის კვლევისა და ტრენინგის ექსპერტები), Rail Cargo (სარკინიგზო გადაზიდვების მიმართულებებისათვის), და გებრიუდერ ვაისის საამანათო სერვისი GWP, ავსტრიული კომპანია DPD-ს თანამფლობელი. სწორედ ასეთი მომსახურების ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ კომპანია მომხმარებლის მოთხოვნილებას სწრაფად და ეფექტურად აკმაყოფილებს. 500 წლიანი ისტორიის მქონე კომპანია, რომელსაც დაარსებიდან ერთი ოჯახი მართავს, მუდმივად ახორციელებს გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ პროექტებს, რის გამოც მდგრადი ბიზნეს-ექტოვობების მოწინავე ადგილს იკავებს.

კონტაქტი

Gebrüder Weiss კორპორაციის კონტაქტები

press@gw-world.com

ბუნდესსტრასე 110, A-6923 ლაუტერახი

ტელ. +43.5574.696.2169

ფაქსი +43.5.9006.2173

www.gw-world.com

www.gw-world.com/news